საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

№ 309 1918 წ. სამშაბათი. აგვისტოს 20. № 309

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს რადიო-სადგური იტყობინება, რომ ინგლისის ჯარი ბაქოში შევიდა.—უკრაინაში გლეხთა აჯანყება ძლიერდება.—ბოლშევიკები ჩეხ-სლოვაკებს ამარცხებენ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფოთის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დაუვიწყარ ამხანაგის სახალხო მასწავლებლის

ვალია გესარიონ ჩიჩუას ასულის

უდროოდ გარდაცვალებას.

თანამშრომლებს, განსაკუთრებით კორესპონდენტებს,

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს წერილები რაც შეიძლება მოკლედ სწეროთ და აღნიშნოთ მხოლოდ ფაქტები, რათა რედაქციას მუშაობა გაუადვილდეს.

ეროვნულ საბჭოს წევრი

სამსონ დადიანი

ქ. თელავში ხუთშაბათს, აგვისტოს 22-ს წაიკითხავს საჯარო ლექციას:

„ეროვნული საბჭო და პარტიები“

ვ ს წ ა ვ ლ ი ქართულ სიმღერა-გალობას როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც მიღება და ჩ წერა **ალ. მაისურაძესთან.** სწავლა და მიღება გუნდში დაიწყება 10 აგვისტოდან ყოველ სამშაბათ-პარასკევობით საღამოს 6—8 საათ. სამაკაროვის ქუჩა № 26, სამოქალაქო სკოლაში. გამგე გუნდ-სა მ. ქავთარაძე. 871

ტფილისი, აგვისტოს 20.

ეროვნული უმცირესობანი.

ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ ეროვნულ უმცირესობათ უნდა თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ამ აზრს ადგია თვით ეროვნული საბჭოც. მიუხედავად ამისა ეს საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია, ან უკედ რომა ვსთქვათ, განუხორციელებელია. ეს გარემოება საბუთს აძლევს ზოგიერთ რუსულ გაზეთს გამუდმებით საყვედური უთვალოს როგორც მთავრობას, ისე ეროვნულ საბჭოს.

მაგრამ ამ საყვედურობის დროს ზემოხსენებულ გაზეთებს ერთი რამ ავიწყდებათ, სახელდობრ ის, რომ საქმის დაგვიანებაში ძალიან ხშირად თვით ეროვნული უმცირესობანიც არიან დამნაშავენი. მაგალითისთვის ავიღოთ საქართველოში მცხოვრები რუსობა. ვინ არიან ეს რუსები? საქართველოს მოქალაქენი, რომელნიც ეროვნულად უმცირესობას შეადგენენ და, მაშასადამე, უფლება აქვთ თავიანთი წარმომადგენლობა მოითხოვონ ეროვნულ საბჭოში, თუ რუსეთის ქვეშევრდომნი, რომლებიც საქართველოში სცხოვრებენ? ამ საკითხის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გადასაწყვეტად, თუ ვის უნდა მიენიჭოს წარმომადგენლობა და რა მასშტაბით. რუსების ეროვნულმა საბჭომ საკონსულო ფუნქციები გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან სჩანს მას თავისი თავი რუსეთის მოქალაქეთა ინტერესების დამცველად მიაჩნია. ნუ თუ რუსების ეროვნულ საბჭოს ჰგონია, რომ იგი ამასთანავე ერთად შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქეთა წარმომადგენლადაც ეროვნულ საბჭოში? ეს პოლიტიკური აბსურდი იქნებოდა და ამ აბსურდს საქართველო ვერ ჩაიდენს, კიდევ ათასი საყვედურიც რომ შეუთვალონ რუსულმა გაზეთებმა საქართველოს მთავრობას.

თვით რუსებს ჯერ თავასი პოლიტიკური თვით-გამორკვევა არ მოუხდენიათ. ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვინ არის საქართველოს მოქალაქე და ვინ რუსეთის. ამისთანა პირობებში შეუძლებელი ჰხდება იმის გარკვევაც, თუ ვის უნდა მიენიჭოს წარმომადგენლობა და ვინ უნდა იყოს მოკლებული ამ უფლებას, როგორც რუსეთის მოქალაქე. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ხანდისხან ჭეშმარიტებაც გაუგებარი ჰხდება ხოლმე იმათთვის, ვინც ჰოტენტოტურად აზროვნებს. ტფილისის რუსობა ძალიან მარტივად მსჯელობს. მე საქართველოს მოქალაქე არა ვარ, არც მინდა ვიყო, მე ველი მხოლოდ იმ ნეტარ დროს, როდესაც საქართველოს საზღვრებში ისევ რუსული მათრახი გაიზუზუნებს, მაგრამ მე რუსი ვარ, ტფილისში ვცხოვრობ და ეს სრულს უფლებას მაძლევს საქართველოს ეროვნულ საბჭოში დავჯდე და კანონმდებლობა გავწიო.

ამისთანა რუსებს, რა თქმა უნდა, არავითარი არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არა აქვთ თავიანთი წარმომადგენლობა მოითხოვონ ეროვნულ საბჭოში. ვისაც ჰსურს ეს საკითხი მალე გადასწყდეს, უპირველესად ყოვლისა უნდა გადასჭრას საკითხი თავისი მოქალაქობისა. მხოლოდ მაშინ გვექნება ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვის რამდენი წარმომადგენელი შეიძლება დაეთმოს ეროვნულ საბჭოში.

რაიცა შეეხება სომხებს, აქ საკითხი უფრო გაადვილებულია. საქართველოში უხსოვარ დროიდან ცხოვრობენ სომხები და, თუ მათ მოისურვეს თავიანთი განსაკუთრებული წარმომადგენლობა, რა თქმა უნდა იცეცხლეს. მათი მოქალაქობრივი უფლების საკითხიც არავითარ ეჭვებს არ იწვევს. მაგრამ სომხებმა ეს საკითხი თითონ გააჭიანურეს. მათ ჰსურთ, და ჰსურთ სრულიად კანონიერად, რაც შეიძლება მეტი სომეხი მოჰგლიჯონ საქართველოს და დაუკავშირონ სომხეთს. სწორედ ამიტომ ზოგიერთს მათს წრეში ტრიალებს აზრი, საქართველოში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი მაინც გამოაცხადონ სომხეთის ქვეშევრდომებათ. ალბად რაიმე ჰოლიტიკური ინტერესი უკარნახებს ამას. ყოველ შემთხვევაში სომხებმაც უნდა გადასწყვიტონ ეს საკითხი; უნდა გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი და ამის შემდეგ ეძიონ თავიანთი კანონიერი უფლებანი.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსება ეროვნულ საბჭოსი. მაგრამ ამისთვის საჭიროა ზემოხსენებული საკითხების გადაწყვეტა და ჩვენც მოვუწოდებთ დაინტერესებულ პირთ, სანამ საყვედურებს შეუთვლიდნენ მთავრობას, ამას მიაქციონ ყურადღება.

უკანასკნელი ცნობები

სოხუმის ოლქი

სოხუმის ოლქიდან ჩამოსული პროპაგანდისტი სასოფლო კომისიას ატყობინებს: გლეხებში დიდი ცვლილებაა. ბოლშევიზმა დაჰკარგა მათ შორის თავისი მნიშვნელობა. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. გლეხები გრძნობენ თავიანთ შეცდომას, ხშირ-ხშირად მათთან პროპაგანდისტების მოსვლა გლეხებს აიმედებს. ერთად ერთი საკითხი, რომლითაც მასსის გული მოგება, შეიძლება. მიწის საკითხია.

ბაქო

ტფილისის რადიო-სადგურიდან. ბაქოს რადიო-სადგური გადმოგვცემს, რომ ინგლისელთა ჯარი შევიდა ბაქოში ბაქოს მთავრობის თანხმობით. ბოლშევიკების მთავრობა ბაქოში აღარ არსებობს, ძალა-უფლება ზომიერ სოციალისტების, ცენტრო-კასპის დიქტატურისა დაღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის ხელშია. ბაქოს იცავენ ინგლისელებთან ერთად. მდგომარეობა მტკიცეა.

ლონდონი 8—17. ინგლისის ჯარი, ბაქოს მახლობლად რომ იმყოფებოდა, ქალაქში შევიდა

ეროვნული საბჭო

აგვისტოს 16 სხდომა

(გაგრძელება)

კ. აფხაზი (დამ.) მოქალაქენო, საბჭოს წევრნო! მე მინდა შეკითხვების თაობაზე ჩემი მოსაზრება გამოვსთქვა. მას შემდეგ რაც მთავრობამ დეკლარაცია გამოაქვეყნა სისტემატიურად შემოაქვთ შეკითხვა. განსაკუთრებით მემარჯვენე ფრთას. ამ შეკითხვების დროს ფოტოგრაფიულის სისწორით ერთი და იგივე მეორდება. მთავრობა ითაკილებს ხოლმე ამას არ უყურებს როგორც ნორმალურს მოვლენას. სხვა და სხვა ფრაქციის ორატორები მდგომარეობას უფრო ამწვავებენ. ჯერჯერობით კანონმდებლობითი ინიციატივა მთავრობის ხელშია. პარლამენტს რჩება უფლება მოსთხოვოს პასუხი მთავრობას. ეს შეუძლიან ოპოზიციას ჯერ-ხნობით შეკითხვების საშუალებით. შეკითხვა ისეთი მოვალეობა და უფლებაა, რომ მისი მოსპობა შეუძლებელია. ყველგან ეს შეკითხვა ითვლება ძალადობისა და თვითნებობის საწინააღმდეგო საშუალებად. ამით შეიძლება აგრეთვე ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ქედმაღლობის განვითარების წინააღმდეგ. რა ხდება ჩვენს პარლამენტში? მთავრობის წარმომადგენელი ამბობს, როცა მთავრობას მხარს არ უჭერ ეს კონტრ-რევოლიუციონერობა არისო. ნაც. დემ გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არისო მიმართული. დაიხსომეთ: ერთს პარტიას მთავრობა მოღალატეს უწოდებს. თუ ეს ასეა ნაც. დემ. სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი. ერთი ორატორი, საბჭოს წარჩინებული წევრი, რომლის სიტყვებს მთელი რუსეთი, კავკასია და საქართველო მარგალიტებსავით ჰკრეფდა, ეუბნება ნაც. დემოკრატებს: რა აზრი აქვს თქვენს გამოსვლას, თქვენ არ გაყავთ ბურჟუაზია, რომ მართვა-გამგეობა ჩაიგდოთ ხელში და გაუძღვეთ. თქვენ ეყრდნობით მხოლოდ დრო მოჰმულს წოდებას, თ.-აზნაურობას და სხვა. სიტყვა მოღალატე რამდენჯერმე გაიმეორა. ეს სიტყვები გაზეთებში იწერება, პროვინციაში იგზავნება. რა შთაბეჭდილებას მოახდენს იქ. **თავმჯდომარე** უკაცრავად, შეკითხვის მნიშვნელობის რაობა და მთავრობისა და ფრაქციათა ურთიერთობა სხდომის სპეციალური საგანი არ არის. გთხოვთ არსებითად ილაპარაკოთ.

აფხაზი ჩამოდის ტრიბუნიდან.

წინიძე (ს. დ.) ჩიქოვანი არ ასაბუთებს თავის აზრს. ის ამბობს ფაქტები იყოო. ფაქტებს ახსნა უნდა. ფაქტების აქა იქ ამოგლეჯა დაყაბუთება ჰგონიათ შემკითხველებს. ეს ასე არ არის. ამა თუ იმ ფაქტს შეუძლიან ორ საწინააღმდეგო დანასკვამდე მიგვიყვანოს. შემკითხველი აცხადებს, მე ხმას არ ვიღებდი, როცა თვით გასამართლების მსხვერპლი დამნაშავე ხდებოდა, მაგრამ უდანაშაულო კაცის თვითგასამართლებამ აღმაშფოთა და ვეღარ მოვითმინეო. ეს არ არის სახელმწიფოებითი უფლებრივი შეგნება,—გახრწნაა, გათახსირებაა. თვითგასამართლება ერთნაირად დასაგმობია, მიუხედავად იმისა მსხვერპლად უდანაშაულო ადამიანი ეწირება თუ დამნაშავე შემკითხველები ტრიბუნალების წინააღმდეგ ილაშქრებენ ასეთი და ასეთი უწესოება ჩაიდინაო. მე გეკითხებით: იყო თუ არა რევოლიუციის დროს წესრიგი? იყო. უკანონობას ადგილი ჰქონდა ანარქიის დროს, იმ ანარქიის დროს, რომელსაც თქვენც შეუწყეთ ხელი. (ნაც. დ.-ები: ჩვენ?) დიახ, თქვენ. მე ვგულისხმობ თავადაზნაურობას, რომლის მანდატებით თქვენა ხართ აღჭურვილნი. გაბაშვილმა მომავალს ისტორიკოსს ჩემი პარტრეტი დაახატვინა და ქვეშ წააწერინა: საბჭოს წევრი არ გეგონოთ, გორის ბანკიდან ფულის მომტაცებელიაო. მილიციის შესანახად, იმ მილიციის, რომელიც სხვათა შორის თქვენს (ნ. დ.) სიცოცხლესაც იფარავდა ფულის სასესხებლად მიველი გორის საერთაერთო ნდობის ბანკში. გამკეთების წევრმა განაცხადა წესდების ძალით ჩვენ ფულს ვერ მოგცემთ ფულის მიცემა შეგვიძლიან მხოლოდ მაშინ, როცა ამას აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენსო. ეს დადგენილება აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა. ამ დადგენილებით ძველი ბანკში გამგეობის ერთმა წევრმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ მე იძულებითი **სესხად** ფული მაინც წამოვიღე და ამით ავასრულე ჩემი მოვალეობა, როგორც კომისარმა

(ნაც. დ-ები) კომისრად ბრძანდებოდით!

დიახ, გახლდით, თქვენ ძველი მთავრობის კომისრობისა არა გცხვენოდათ და მე ახალისა რად შემრცხვებოდა.

აი ასე იყო ეს ამბავი. რასაკვირველია, თუ რეაქციამ გაიმარჯვა შეიძლება სამართალში მიმცენ. იქნება გაბაშვილიც მისცენ სამართალში, რომ რევოლიუციონერებთან ხის. მაგრამ არა, არ მისცემენ. ის მაშინვე თავის ბინას მოსძებნის.

დ ჩიქოვანის შეკითხვის გამო აღძრული კამათი ამით დასრულდა. საბჭომ მიიღო ს. დ. მიერ წარდგენილი რეზოლიუცია. მოისმინა რა შეკითხვა საბჭოს წევრის ჩიქოვანისა და განმარტება მთავრობისა ამ შეკითხვაზე, ეროვნული საბჭო, დარწმუნებული იმაში, რომ მთავრობა ყოველ ზომას მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეთა პიროვნების ხელ-შეუხებლობის დასაცავად, კმაყოფილდება იმ განმარტებით და გადადის მორიგ საკითხზე».

სხდომა შესწყდა საათის 3. შემდეგი სხდომა დანიშნულია აგვისტოს 20-ს.

ვ. ე.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი 8—17 კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერსა და ანკრს შუა ბრძოლა ზოგიერთ სექტორში ღამის განმავლობაში გაძლიერდა. მტერი ხვერვას აწარმოებს და ირიშები მოაქვს. ვიე-ბერკინთან და ანკრის ჩრდილოეთით ირიშები მოვიგერიეთ.

ბომეს ლაშქარი. რუანის ორივე მხრით მტერმა ხშირ-ხშირად მოიტანა ძლიერი ირიშები შოლნის სამხრეთ-დასავლეთით, ფრანგები და კანადელები სასტიკ ირიშებით სცდილობდნენ ჩვენი ფრონტის გარღვევას. ირიშები ღამემდე გაგრძელდა.

გენ. ხუტიერის ლაშქარმა მტრის ყველა ირიში მოიგერია. ირიშები უმთავრესად ავრის ორივე მხრით მოქონდა მტერს გუაიენ-კურტთან მტერმა დაიპყრო მცირეოდენი ტერიტორია.

კონტრ-ირიშით ვაიძულეთ მტერი უკან დაეხია, ამენ-რუანთან, რომელიც საღამოს ბრძოლის გათავების შემდეგაც მტრის ხელში იყო ღამით უკან დავიბრუნეთ. ავრის სამხრეთით ფრანგების ირიშები დამარცხდა: აქ თავი ისახელეს განსაკუთრებით ჩვენმა ტყვიისმფრქვეველებმა.

ბეკვერენგნერთან ჩვენმა არტილერიამ დაამარცხა მტერი, რომელიც ირიშებს ამზადებდა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ.

საჰაერო ბრძოლაში ლეიტ. უდეტმა მე-56-ჯერ გაიმარჯვა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: უმნიშვნელო ბრძოლა აქეთ ქვეითა ჯარებს. ვესლაზე დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება.

ჰერცოგ ალბერტის ლაშქარი. ზიუნდგაუში ჩვენი შემტევი რაზმები ფრანგების თხრილებში შეიჭრნენ ლარგიტცენის ჩრდილოეთით და ტყვეები წამოიყვანეს. ჩვენმა მსწრაფლ-მომავალმა ჰაეროპლანებმა ჩამოაგდეს ინგლისელების ერთი დიდი ჰაეროპლანი იმ ესკადრილიდან, რომელიც უმბარებს უშენდა ქალაქ დარმშტალტს.

კარიზი 8—17 ფრანგები იბრძოდნენ [illegible] რუანის დასაგლეთით მათ აიღეს კომპდე-კეისარის სანგრები. მდინარის სამხრეთით ბევრენამდე წაიწიენ. გუშინდელ ბრძოლიდან დაწყებული ავრის სამხრეთით და ჩრდილოეთით 1000 კა. ცამდე დაატყვევეს ფრანგებმა ამას გარდა ხელთ იგდეს ძრავალი ტყვიის მფრქვეველი და საომარი მასალა. შემდეგ სამხრეთით ფრანგების ქვეითა ჯარმა დაიპყრო კანნი-სიურ-მატცი. გერმანელების კონტრ-ირიში სარნუას ფერმაზე მოვიგერიეთ. ენის ჩრდილოეთით ოტრელის რაიონში ფრანგებმა აიღეს გერმანელების პოზიციები 5 კილომეტრის ფრონტზე და სიღრმით 500 მეტრზე, აქ ფრანგებმა 240 გერმანელი დააატყვევეს.

ბერლინი 8—17 საღამოს ცნობა. ავრის ორივე მხრით ჯრა ერთხელ მოვიგერიეთ მტრის ირიშები. მრავალი ჯავშნოსანი გავანადგურეთ ცეცხლის საშუალებით. უაზასა და ენს შუა დილით ადრე ძლიერი ცეცხლი. მტრის ირიშები მოვიგერიეთ.

იტალიის ფრონტი.

ვენა. 8—17 სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა. ობერ-ლეიტენანტმა ნაფრატილმა მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო იმ დროს, როდესაც იგერიებდა ტრიესტზე მფრინავ მტრის საჰაერო ესკადრონს.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. 8—17 იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირით მტერმა არტილერიის ცეცხლში გაბვია ჩვენი პოზიციები და ზურგის ნაწილი. ჩვენმა კავალერიამ და ტყვიისმფრქვეველებმა გარეკეს მტრის სამი ესკადრონი იორდანეს შესართავის აღმოსავლეთით. მტერი დიდად დაზიანდა. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 50 მოკლული და დაჭრილი.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 8—18. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ბუკუას სამხრეთ-დასავლეთით და ანკრის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარებს შორის ბრძოლაა.

ბომე ლაშქარი. ავრის ორივე მხრით გუშინ მტერი თავის ირიშებს განაგრძობდა. ამიენთან და მონ-დიდიერთან ჩვენ ვაიძულეთ უკან დაბრუნებულიყო თავის ბანაკში. საღამოს საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა, გავრცელდა შოლნის ჩრდილოეთითაც და ნუაიონის სამ-

ქალაქის ამბები

(გაგრძელება წინა ნომრიდან, ცვლილებებით)

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში ბევრი საინტერესო ფაქტი გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ქალაქის ამბები

(გაგრძელება წინა ნომრიდან, ცვლილებებით)

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ქალაქის ამბები

(გაგრძელება წინა ნომრიდან, ცვლილებებით)

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბაბანიძეების ოჯახის ისტორია

8—18. ჯიხვისი. (ცვლილებებით). ოჯახის ისტორიის ცოდნა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის, ბაბანიძეების ოჯახის ისტორიის შესწავლა დავიწყეთ. ამ ოჯახის ისტორიის ცოდნა ბევრ ადამიანს დაეხმარება, ვინაიდან ბაბანიძეების ოჯახის წარმომადგენლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში საინტერესო ფაქტები გამოვლინდა. ოჯახის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ეტაპზე ოჯახის ისტორიის შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ნაწილი გამოქვეყნდა ქალაქის ისტორიის მუზეუმის ბროშურაში. ბროშურა ქალაქის ისტორიის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს.

ბენ საგანგებოდ მოწვეულნი პირნი გიორგის ნაწერებს ქართულს ლიტერატატურაში.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

დუშეთის სოც-ფედერალისტთა პარტიის სამაზრო კომიტეტი სთხოვს ამხ. ბესო ქელბაქიანს საჩქაროდ დუშეთში მოვიდეს.

—

დღეს, საღამოს სწორედ 7 ს. პარტიულ კლუბში ეროვნულ საბჭოს წევრი ამხ. სიმ. მდივანი წაიკითხავს მოხსენებას: „ეროვნ. საბჭო და მისი მუშაობა".

უწესოების დღიური

1

უწესოება რკინის გზაზე.

დიდი და რთული საკითხები აქვს გადასაწყვეტი ჩვენს თაობას. მაგრამ არც ჩვენი ცხოვრების პატარა ამბები უნდა იყოს დავიწყებული, რადგანაც ცხობილია, რომ ყველაფერი ამ პატარა-პატარა ყოველ-დღიური ამბებისაგანა დ მოვლენებისაგან შესდგება. აი სწორედ ეს გარემოება მაიძულებს ჩემი დღიური განვაახლო და მკითხველის ყურადღება მივაქციო ცხოვრების ისეთს მხარეებს, რომელნიც რთულ საკითხებში გაბმულ ადამიანს ხშირად მხედველობიდან ეპარება.

უპირველესად ყოვლისა საჭიროდ მიმაჩნია ყურადღება მივაქციო იმ საშინელ უწესოებას, რომელიც რკინის გზებზე ხდება. მრავლ უწესოებათა შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ გზაზე განსაკუთრებული, უკვე თითქოს ადათად გადაქცეული წესი დამყარდა საქონილის გადაზიდვა-გადმოზიდვისა.

მთავრობა სასტიკად ებრძვის სპეკულიანტებს, ებრძვის განსაკუთრებით იმათ, ვისაც თავისი უსინდისო სპეკულიაციის საგნად დამშეული ხალხის ლუკმა პური გაუხდია. მთავრობამ თავისუფალი ვაჭრობა გამოაცხადა. მაგრამ ეს თავისუფალი ვაჭრობა ლამის არის თავისუფალ სპეკულიაციად გადაიქცეს.

ხდება ეს იმიტომ, რომ სპეკულიანტები ხორბალსა და ფქვილს ადვილად არ ეზიდებიან არც მთავრობას არც რკინის გზის ადმინისტრაციას საშუალება არა აქვს სათანადო რეგისტრაცია მოახდინოს და სათანადო კანტროლი გაუწიოს იმათ, ვინც პურით ან ფქვილით ვაჭრობს. სპეკულიანტები და ათასი ჯურის ჩარჩები მთელ საქართველოში დაძრწიან, ყიდულობენ ხორბალს და ნაწილ-ნაწილ რკინის გზით ჩამოაქვთ ტფილისში. ამ ჩუმ გადაზიდვ-გადმოზიდვას ხელს უწყობენ ისინი, ვის პირდაპირ მოვალეობასაც უნდა შეადგენდეს ბრძოლა ჩუმი გადაზიდვ-გადმოზიდვის წინააღმდეგ.

ჩვენ არ ვიცით, რანაირი წესები არის დღეს დამყარებული რკინის გზაზე, მაგრამ ოდესღაც მატარებლებს აუცილებლად სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელიც დასდევდა ხოლმე. სახელმწიფო კანტროლი კანტროლს უწევდა მთელს მოძრაობას და სათანადო პასუხისგებაში აძლევდა ყველას, ვინც კი რკინის გზაზე დამყარებულ წესებს არღვევდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წესი უნდა აღდგენილ იქმნას, თუ დღეს გაუქმებულია. აუცილებლად უნდა მოისპოს სამგზავრო მატარებლით გადაზიდვა-გადმოზიდვა ყველა ისეთი საქონლისა, რომელიც სამგზავრო მატარებლით უნდა იგზავნებოდეს.

რკინის გზაზე სასტიკი წესრიგის დამყარებით რაოდენადმე მაინც ჩადგება წესრიგ კალაპოტში გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმე და მთავრობასაც საშუალება მიეცემა კანტროლი გაუწიოს ყველას, ვინც ფქვილსა და ხორბალს გასაყიდად ჰგზავნის ერთი ადგილიდან მეორეში.

შინაური.

სასწავლებელთა გაეროვნებისთვის

საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კურსებს მრავლად ესწრებიან ქართველი პედაგოგები. ეს საინტერესოა არა მარტო იმით, რომ მასწავლებლები მეცნიერების სხვა და სხვა დარგებს ეცნობიან ქართული ენის საშუალებით, არა მარტო იმით რომ ეს კურსები არის, ასე ვსთქვათ, შესავალი, წინასიტყვაობა ქართული კულტურის აღორძინებისა, არამედ მითაც, რომ მრავალი პოლიტიკური საკითხი წამოიჭრა ქართველ მასწავლებლების წინაშე და თხოულობს ასე თუ ისე მათ შეხედულების გამოთქმას.

ერთი ასეთ კითხვათაგანი არის საქართველოს რესპუბლიკის სასწავლებლის გაეროვნების საკითხი. სასწავლებლების გაეროვნების საკითხი რევოლიუციის პირველ დღეებშივე წამოიჭრა. ყველას კარგად ეხსომება 1917 წელში გამართული მასწავლებელთა სხვა და სხვა ჯურის ყრილობები, მათი სურვილები, რეზოლიუციები და სხვა მკითხველებს მოვაგონებ აგრეთვე სხვა და სხვა სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოების დადგენილებებს, საპედაგოგიო ასპარეზზე მრავალ მოღვაწეთა მოხსენებებს, საგაზეთო წერილებს და მრავალ სხვას. ყველანი აღიარებენ ნაციონალიზაციის აუცილებლობას, დაჩქარებით ითხოვდნენ ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. ამ ამბების შემდეგ წელიწადზე მეტმა დრომ განვლო და საკითხი თითქმის ისევ იმ მდგომარეობაში არის, როგორც იყო რევოლიუციის პირველ დღეებში. სურვილების გამოთქმა, პროექტების დაწერა ყველას გვეხერხება, არც თუ მდგომარეობის შეგნების უნარი გვაკლია, მაგრამ როცა საქმე პრაქტიკულ მოქმედებამდე მივა, იქ ყველა უკან ვიხევთ და საქმეს ჩვეულებრივ სახვა ლიოდ გადავდებთ ხოლმე. ეს იყო მიზეზი, რომ განვლილ 1917—18 სამოსწავლო წელში მთავრობის არც ერთ სასწავლებელში სრული ნაციონალიზაცია არ გატარებულა. მართალია იყო რამოდენიმე კერძო შემთხვევა, სადაც ეს რეფორმა ოთხი კლასის ფარგალში იყო განხორციელებული, უმეტეს შემთხვევაში კი იმ პირველი ორი კლასის გაეროვნებაც ვერ მოხერხდა, რომლის გაეროვნებაც მთავრობისგან დაკანონებული იყო. სკოლების გაეროვნების სურვილი უმეტეს ნაწილს ქართველ მასწავლებლებისას რომ არ ჰქონდეს ამას არ ვიტყვი, ბევრ მათგანი გრძნობს მის აუცილებლობას და საჭიროებასაც. ბევრს მათგანს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ კულტურის ფართოდ გავრცელებისთვის და ფართო დემოკრატიულ ელემენტების მისდამი ზიარებისთვის, საჭიროა სასწავლებლებს ჩამოშორდეს კასტიური და მისტიური ფორმა, რაც უმთავრესად დემოკრატიისთვის გაუგებარ და ხშირად მისთვის მიუწვდომელ ენით გამოიხატება, და ყოველგვარი ცოდნის გავრცელება სწარმოებდეს ხალხისათვის გასაგებ ენაზე. ამ ელემენტარულ სამართლიანობას თითქმის ყველა ვგრძნობთ და თუ მას ცხოვრებაში არ ვასრულებთ, მხოლოდ მისთვის, რომ ბევრ ჩვენგანს ცირკულიარების მოსიყვარულე ხასიათი შეგვრჩა. თუ სათანადო ცირკულიარი არ მოგვივიდა, რაიმე ახალი თუნდ უმნიშვნელო რეფორმის გატარებაც კი რუბიკონის გადალახვად მიგვაჩნია. ჯერ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნამ, შემდეგ ამიერ კავკასიის სახელმწიფოებრივობამ არ მისცა შეძლება მთავრობას ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯი გადაედგა, ამისათვის ვიმეორებ სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც იყო ეს რევოლიუციის პირველ დღეებში,

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ ამ საკითხში გადასდგა ნაბიჯი როცა გამოაცხადა ნაციონალიზაციის გატარება სასწავლებლებში მეხუთე კლასამდე სავალდებულოა, ხოლო დანარჩენ კლასებში შეიძლება გატარდეს საპედაგოგიო საბჭოების სურვილით, საცა მოხერხებული იქნებაო, ნაციონალიზაციის გატარება სასწავლებლებში დღემდისაც ჩვენს უფლებას შეადგენდა მის შემოღებას არავინ გვიშლიდა, ამ მხრივ ჩვენ უფლება მოსილნი ვიყავით. ახლა ნაციონალიზაციის გატარება ჩვენ უფლებას კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ ვალდებულებას, ჩვენ—მთავრობამ მოვალენი უნდა გაგვხადოს საჭირო რეფორმა აუცილებლად გავატაროთ. სწორედ ეს საკითხი არის დასმული კურსებზე ჩამოსულ მასწავლებლების წინ და როგორ გაატარებენ მას ცხოვრებაში, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

სკოლების გაეროვნების საქმეში მრავალ დაბრკოლებებს ასახელებენ, თუმცა ეს დაბრკოლებანი გარეგნული ფორმალური ხასიათისანი არიან, მაგ. სახელმძღვანელოების უქონლობა, მასწავლებელთა თუ მოსწავლეთა ჯეროვანი მოუმზადებლობა და სხვ., მაგრამ ეს ყველა ხომ გარდამავალი დაბრკოლებებია, მათ მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს და ისეთი რეფორმა, რომელსაც პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, არ უნდა შეფერხდეს დროებითი და გარდამავალი დაბრკოლებებით.

სკოლების გაეროვნების საქმე, რადიკალურად უნდა გადიჭრას, უნდა მოხდეს სრული გაეროვნება ნაწილობრივი ნაციონალიზაცია კვლავ მიაძინებს მასწავლებლებს. და წლის თავზე, როცა ნაციონალიზაციის საკითხი კვლავ დაისმება, ეს დაბრკოლებაც მთელი თავისი სიმძლავრით კვლავ წამოიჭრება.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომისარიატის ცირკულიარიც ნებას აძლევდა საპედაგოგიო საბჭოებს გაეტარებინათ ეს რეფორმა სკოლებში, თუ ადგილობრივი პირობები ხელს შეუწყობდა. მაგრამ ამ უფლებით სულ უმნიშვნელო პროცენტმა ისარგებლა. მთავრობამ უნდა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომ ნაციონალიზაცია სრულად გატარდეს ყველა კლასებში, ხოლო თუ რომელიმე სასწავლებელი რაიმე მიზეზის გამო ამას ვერ მოახერხებს, იგი აღძრავს შუამდგომლობას მთავრობასთან, რომ ნება დართონ დროებით იყოს ამ სასწავლებელში ისევ ძველი ფორმა სწავლებისა.

თ. ბეგიაშვილი.

გაქოს ამბები

მაგრამ აქ ისევ ძველ ამბებს დაუბრუნდეთ. მუსსავათის თანდათან გამბედაობა ემატებოდა და მეტი სითამამე ეტყობოდა, როგორც საზოგადო დაწესებულებებში, ისე კერძოთ მათმა წარმომადგენლებმა ყველგან დიდის რიხით და მუქარით დაიწყეს ლაპარაკი, მუსულმანები სხვათა შორის, რკინის გზაზე რამდენიმე ადვილმა გამარჯვებამ წაათამამა, სადაც მათი ბრბო თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად მგზავრებსა და ჯარისკაცების ეშელონებს იარაღს ჰყრიდა და სძარცვავდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რკინის გზებზე არევ-დარევის გამოწვევას, ჩემის ღრმა რწმენით მუსულმანთა პარტიების და განსაკუთრებით მუსსავათის წარმომადგენელნი ხელმძღვანელობდნენ ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის გარემოება, რომ საკმარისი იყო მატარებელს ერთ-ერთი მუსუვატის წარმომადგენელი გაყოლოდა და მატარებელს თათრების ტერიტორია უვნებლად გაევლო და ხელიც არავის ეხლო.

რკინის გზაზე დამყარებული არევ-დარევა ანარქიას და არევ-დარევას იწვევდა მთელ მხარეში, რაც ოსმალებს ამიერკავკასიაში შემოსვლას გაუადვილებდა და მუსულმანების სანუკვარ მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბაქოს მუსულმანობა არის მთელი კავკასიის მუსულმანობის აზროვნების. ასე ვსთქვათ მთელი წყარო, მათი ხელმძღვანელი გეზისა და ტონის მიმცემი.

ჩვენი ძმების, ქართველ მუსულმანების უკულმართ მოქმედებაშიც ბაქოს თათრებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. ბაქოში სხვათა შორის მოღვაწეობდა ბათომიდან ოსმალეთში გადასახლებული სტამბოლსა და საფრანგეთში განსწავლული ჟურნალისტი ქართველი მაჰმადიანი ვინმე ზაქარიაძე, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე სამაჰმადიანო საქართველოში და ოსმალეთის ორიენტაციის სასარგებლოდ მუშაობას და პროპაგანდას ეწეოდა.

მუსსავათი ბოლშევიკებთან კავშირს მაინც არ სწყვეტდა. ამ პარტიის ორჭოფული მოქმედების ფარული განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლშევიკთა ყურადღება მიეძინებინათ, ძალღონე მოეკრიბათ და შემდეგ მოულოდნელად დაემარცხებიათ, ძალა უფლება ხელთ ეგდოთ.

ბაგრამ ბოლშევიკებსაც არ ეძინათ—თავის მდგომარეობას თანდათანობით ამაგრებდენ და უფრო და უფრო გაბედულად მოქმედობდნენ. მათ მუსავატს კათეგორიულად მოსთხოვეს თავის ამომრჩეველები, მუსულმანები დაერიგებინათ და რკინის გზაზე წესიერების დასამყარებლად ზომები მიეღო. ამ ხანებში ბაქოში მოვიდა ეგრედ წოდებული „ველურთა დივიზიის" შტაბი. ბოლშევიკებმა შტაბი დაატყვევეს, რამაც მუსულმანებში მღელვარება გამოიწვია. შეიარაღებული მუსულმანებით გაივსო ქუჩები და ტყვეების განთავისუფლებას მოითხოვდენ. ამის შემდეგ გენ. შიხლინსკი და მუსულმანი ოფიცრები განთავისუფლებული იქმნენ.

ბაქოს გუბერნიაში და კერძოდ მუღანის ველზე ბევრი რუსეთიდან გადმოსახლებული რუსების სოფლებია გაშენებული. ჩამოსახლებულ რუსებს ადგილობრივი მუსულმანები მტრულად უცქერიან და რევოლიუციის დროს ბევრი მათგანი აყარეს და გამორეკეს, რაც ფართო საზოგადოებაში უკმაყოფილებასა და აღელვებას იწვევდა.

ბოლშევიკებმა ზღვის პირად მდებარე ქ. ლენქორანში ვითომ რუსებისა და სომხების დასაცავად და მუსულმანებისა დასაწყნარებლად სამხედრო გემები გაგზავნეს მეზღვაურებმა ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს და მუსულმანების ნაწილი საგრძნობლად დააზიანეს. მუსულმანებმა თავის მხრით ხალხის დასაცავლად ლენქორანში საომარი მასალებით ველური დივიზიის ნაწილის გაგზავნა გადასწყვიტეს. ძველი სტილით მარტის 18 დღით შაბათს ახალ დაღამებულს გემში ჩამსხდარ „ველურ დივიზიის" მცირე რაზმს ბოლშევიკთა ჯარი თავს დაესხა და საშინელი სროლა აუტეხა. მეორე დილას „დივიზიას" იარაღი აყარეს. გაიმართა მოლაპარაკება ამ ინცინდენტის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციის მოსახდენად. ბოლშევიკები თანხმდებოდნენ იარაღი უკან დაებრუნებიათ და საქმე მშვიდობიანად გაეთავებიათ, ხოლო მუსულმანებს გამოსვლა გადაწყვეტილი ჰქონდათ, მოლაპარაკების გათავებას როდი დაუცადეს, მარტის 19-ს, კვირას საღამოს 5 საათზე ქალაქში სროლა ასტეხეს.

რკინის გზებზე ადვილი გამარჯვებით წათამამებულნი ბაქოს მუსულმანები საერთაშორისო დარწმუნებულნი იყვნენ ბოლშევიკებს ერთი სულის შებერვით ბოლოს მოუღებდნენ და უმტკივნეულოდ ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდენ. ჩვენი საზოგადოებაც დარწმუნებული იყო მათ ყოყოჩობას და ბაქოობას საკმაო საფუძველი ჰქონდა, ბოლშევიკებს ადვილად სძლევდნენ და თავის უფლებას განამტკიცებდენ, რაც, იმავე დროს, სამართლიანადაც მიგვაჩნდა, რადგან ბაქო მათ ტერიტორიაზე მდებარეობს. ხოლო ეს ყოველივე შეცდომა გამოდგა და სინამდვილეში თვისი სრული უილაჯობა დამტკიცეს. არავითარი სერიოზული ორგანიზაცია მათ არ აღმოაჩნდათ და ვერავითარი თაოსნობა გამოიჩინეს. ბოლშევიკთა დამარცხება და მართველობის საქმის ხელში დაჭერა განიზრახეს და საამისო წინასწარი სამოქმედო გეგმაც არ ჰქონდათ შემუშავებული. თითქო ეს უბრალო დემონსტრაცია ყოფილიყოს და არა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადადგმული ნაბიჯი. და აი სწორედ ასეთ დაუდევრობისათვის სასტიკი დამარცხება განიცადეს. მუსულმანებს რომ მწყობრი და მიზანშეწონილი გამოსვლა მოეწყოთ, თავდაპირველად მუშათა საბჭოს, აღმასრულებელ კომიტეტის და ბოლშევიკთა შტაბის ბინას მოულოდნელად თავს დასხმოდენ და აეღოთ, მათი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა მაგრამ მუსულმანებმა ამის ნაცვლად ქალაქის განაპირა უბნებს დაუშინეს თოფები.

თავზარდაცემული ბოლშევიკები პირველად დაიბნენ, ხოლო მალე გონს მოვიდნენ და საბრძოლველად დაირაზმნენ. სასწრაფოდ ძალთა მობილიზაცია მოახდინეს და მალე ყოველგვარი საომარი იარაღები—ტყვიის მფრქვეველები და სამხედრო გემებიდან ზარბაზნები აახმაურეს. სამი დღე-ღამის განმავლობაში უსაშინელესი ომი იყო გაჩაღებული, რომელზედ უსასტიკესი ბრძოლა წარმოუდგენელია.

მცხოვრებნი სარდაფებში მიიმალნენ. ყველა შიშმა შეიპყრო. სურსათსა და სანოვაგეს, რასაკვირველია, ვერსად იშოვიდით და მის საძებნელადაც გარედ გამოსვლას აბა ვინ გაბედავდა. თუ ვინმეს სახლში რამე მოეპოვებოდა ხომ კარგი, თუ არა და სიმშილს ითმენდა.

ამ ამბების კარგი ხნის წინ სომხებისა და მუსულმანების ნაციონალურ საბჭოებს საერთო სხდომები ჰქონდათ, სადაც სოლიდარულ ცხოვრების და კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებაზე მსჯელობდნენ და საამისო ოქმებიც შეადგინეს.

გამოსვლის წინ მუსულმანები სომხებს შეეკითხნენ, როგორ მოიქცევით ბოლშევიკთა წინააღმდეგ გამოსვლის დროს და რა პოზიციას დაიჭერთო. სომხის ეროვნულმა საბჭომ მუსულმანებს ნეიტრალიტეტის დაცვა აღუთქვა; იმ შემთხვევაში კი, თუ მუსულმანებს საქმე გაუჭირდებოდათ, ხუთასი შეიარაღებული მეომრით დახმარებაც დაპირდნენ.

მუსულმანები მიცემულ სიტყვას გულუბრყვილოდ დაენდვნენ, რაშიაც სასტიკად მოსტყუვდნენ. მეორე დღესვე მთელი სომხობა ფეხზე დადგა და ბრძოლაში მეტად მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

სომხები ბაქოში საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ. აქ ადერბეიჯანელთა მეოხებით რამოდენიმე ათასი ბრძოლის ველზე გაწვრთნილი სომხის ჯარისკაცი დაგროვდა, რომელნიც ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მიეშურებოდნენ და ადირბეიჯანელთა რაზმები არ უშვებდნენ, გზიდან აბრუნებდნენ. იყო შემთხვევა მუსულმანებმა ქართველებისა და სომხების ჯარისკაცებისაგან შემდგარი ეშელონი გზაზე შეაჩერეს, ქართველები გამოუშვეს და სომხები უკან დააბრუნეს.

ბაქოში ადირბეიჯანელთა წყალობით დაგროვილ ჯარისკაცთა გარდა მთელი სომხობა მშვენივრად შეიარაღებული აღმოჩნდა და ყველა ინსტიქტიურად ბრძოლისა და შურისძიების ჟინმა გაიტაცა. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს დაუნდობლად ესროდნენ და მუსრავლებდნენ. ბრძოლამ აშკარა ნაციონალური ხასიათი მიიღო. თითო-ოროლა შეძლებული და ინტელიგენტი მუსულმანის გარდა დაიხოცა რამოდენიმე ათასი ღარიბ-ღატაკი თათრების მშრომელი ხალხი. ქუჩები დახოცილთა გვამებით გაივსო. იყო შემთხვევები მუსულმან დედებს ყელს სჭრიდნენ და ძუძუმწოვარ ბავშვებს გულზე აკლავდნენ.

ბრძოლის განელების შემდეგ სომხის დედებს პატარა ბავშვები მიჰყავდათ და დახოცილ გვამებს მუსულმანებისას აფურთხებდნენ, წიხლსა სცემდნენ და ბავშვებსაც ამასვე მოსთხოვდენ.

აი როგორი მახინჯი სახე მიიღო ვითომდა „სამოქალაქო" ბრძოლამ.

რომ სომხები მიმართულებისა და მდგომარეობის განურჩევლად ბრძოლაში არ ჩაბმულიყვნენ და ბრლშევიკებს არ მიშველებოდნენ, ამ უკანასკნელთა გამარჯვება, ვფიქრობ, სათუო იქმნებოდა.

სომხების სტიქიურ გამოსვლას და არა ადამიანურ გაბოროტებას დიდი ხნის ურთიერთი მტრობისა და მძულვარების გარდა რამოდენიმეთ ის გარემოებაც ასაზრდოებდა, რომ ამ ხანებში მუსულმანები სომხებზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნადირობდნენ, რკინის გზებსა და ვაგონებში გაფაციცებით დაეძებდნენ და ყველას განურჩევლად ყელსა სჭრიდნენ.

სამშაბათს ნაშუადღევს, ბაზარს, სადაც მოვაჭრეები თითქმის ყველა მუსულმანობა იყო, ცეცხლი მოედო. ახლომახლო მცხოვრებნი სახლს სტოვებენ და თავს შველიან. რამოდენიმე ქართველმა ოჯახმა ქართულ სკოლას შეაფარა თავი.

ღამეა ბნელა. სინათლეს არ ვანთებთ. სკოლის დერეფანში ვზივართ მწარედ დაღვრემილი, ადამიანის ბოროტებით გამოწვეული შავი ფიქრებით გარემოცული და ზარბაზნებისა და ტყვიის-მფრქვეველებს ყურს ვუგდებთ. დროგამოშვებით სამხედრო პროკურატორის სინათლე არღვევს ხოლმე ჩვენს ამ თავისებურ მყუდროებას. კარების კაკუნი მოგვესმის. კარებს ვაღებთ და ორ პატარა გოგონას სასოწარკვეთილებით აღსავსე განწირული ხმა—„მასწავლებელო ვიწვითო" ადმოხდებათ და ტირილი წასკდებათ. თმა ყალყზე დაგვიდგა და საშინელების ჟრუანტელმა ტანში დაგვირბინა. ეზოში გავდივართ და ჰიშკრისკენ მივეშურებით. ქალაქის შუა გული ცეცხლის ალშია გახვეული. ტირილით და კვნესა-ოხვრით სკოლისაკენ სამოციოდე ქალი და ბავშვი მოეშურება. ერთმანეთს შეეხვედით და ჯოჯოხეთური ჟრიამული ასტყდა. დაჭიმული ძარღვები შეირხა, ბოლმამ გამოსავალი ჰპოვა და უმეტესობას ქვითინი წასკდა. სტიროდნენ გასანადგურებლად გაძახადებულს სახლსა და სხვა და სხვა ქონებას, ამა თუ იმ უბანში მომწყვდეულ ქმარს, ცოლს და შვილს, რომელთა შესახებ არაფერი იცოდნენ.

გამოქცეულთა შორის აღმოჩნდა ერთი მუსულმანი მასწავლებელი, რომელიც შევივრდომეთ და სიკვდილს გადავარჩინეთ. იძლივნენ თათრები და მორჩილებას აცხადებენ. მუსულმანებსა და ბოლშევიკების ბრძოლა გათავებულად მიაჩნიათ, ხოლო ომი მაინც გრძელდება. საქმე ისაა, რომ გამარჯვებით წახალისებულ სომხებს ველარ აჩერებენ, თათრების სავსებით შემუსვრას ლამობენ. დაჰქრის სამშვიდობო დელეგაცია, მებრძოლთ ბრძოლის გათავებას აუწყებს და ომის შეწყვეტას სთხოვს. მაგრამ არაფერი შველის, ბრძოლას მეტის სიფიცხით აწარმოებენ.

სამშვიდობო დელეგაციიდან მოკლულ იქმნა ს.-რ. ექიმი ათაბეგიანი და დენეტკინი.

ბოლოს მეზღვაურებმა სომხებს კათეგორიულად მოსთხოვეს ბრძოლა შეეწყვიტათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხების უბანს ზარბაზნების დაშენას დაემუქრენ. მუქარამ გასჭრა და ბრძოლა ცოტ-ცოტათი მიწყდა. ახლა მარადიორებისა და მძარცველების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება შეიქმნა საჭირო.

ამნაირად კვირა საღამოს დაწყებული ბრძოლა ოთხშაბათს საღამოს დაცხრა და ხუთშაბათს დილით დამფრთხალი საზოგადოება აქა-იქ ქუჩებში გამოჩნდა.

ქალაქის შუა ბაზარი გადამწვარია და დიდძალი სანოვაგე ცეცხლის მიერ ჩანფქმული. ქალაქის მშვენება და სილამაზე მუსულმანთა საქველმოქმედო და კულტურულ საზოგადოებათა შენობა „ისმაილიე" დამწვარი და განადგურებულია. ზარბაზნების ყუმბარებით გვერ-

Ленинградцы — Дню Победы

Ветераны Ленинградского фронта, труженики тыла, жители города на Неве, воины Советской Армии и Военно-Морского Флота, все ленинградцы с волнением и гордостью вспоминают дни, когда наш город был на переднем крае борьбы с фашистскими полчищами, когда ленинградцы проявили беспримерное мужество и стойкость, отстояли свой город, свою Родину.

Ленинградцы чтят память своих отцов, матерей, братьев и сестер, погибших от рук фашистских извергов, память тех, кто умер от голода и лишений, кто был замучен в застенках гестапо, кто погиб от бомб и снарядов, выпущенных по мирным жителям. Ленинградцы чтят память воинов, отдавших свои жизни за освобождение города Ленина.

Ленинградцы с гордостью вспоминают о том, что их город был первым городом, который получил почетное звание города-героя. Ленинградцы с гордостью вспоминают о том, что их город был первым городом, который был награжден орденом Ленина.

Ленинградцы с гордостью вспоминают о том, что их город был первым городом, который был награжден медалью «За оборону Ленинграда».

Ленинградцы с гордостью вспоминают о том, что их город был первым городом, который был награжден медалью «За блокаду Ленинграда».